საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 128-1 03/08/2022

**ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტის იმპორტის**

**შეჩერების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის N426 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების მე-5 მუხლის $5^1$ და $5^2$ პუნქტების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. პოლონეთის რესპუბლიკის ,,MITMAR Sp.Z.o.o“ მის: ul. Sikorskiego 5B, 95-015 Głowno (აღიარების ნომერი PL 10201101 WE) საწარმოდან იმპორტირებულ ფრინველის მექანიკურად განცალკევებულ ხორცში (სეს ესნ კოდი: 0207), ერთი წლის განმავლობაში სალმონელას (salmonella) ორჯერ აღმოჩენის გამო, 1 წლის ვადით შეჩერდეს ამ საწარმოდან „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანებით დამტკიცებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 0207 პოზიციის ყველა ქვესუბპოზიციით განსაზღვრული პროდუქტის იმპორტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტი არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომელზეც ამ ბრძანების მიღებამდე:

ა) შემოსავლების სამსახურის ან ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა;
ბ) ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულია საერთაშორისო ვეტერინარული სერტიფიკატი და პროდუქტს გადმოკვეთილი აქვს ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარი.

3. დაევალოს:

ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, სსიპ შემოსავლების სამსახურის ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ და საქართველოში ექსპორტზე უფლებამოსილ საწარმოთა შესაბამის ნუსხაში ცვლილების შეტანა;

ბ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, პოლონეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს ინფორმირება აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), ამ ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.